პროექტი

განკარგულება

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში დამხმარეამოცანებისშესრულებისმიზნითშრომითიხელშეკრულებითმისაღებ პირთა რაოდენობის დადგენილი მეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 156-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3, მე-4 პუნქტებისა და ,,საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 23- მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 15% ოდენობით.

**მუხლი 2.** განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ